# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974





ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ზევით, მარცხნივ — იუნიორებში 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) — ე. ჩერნიშოვი (II ადგილი), ა. ბეტროვი (I ადგილი), ა. ბორტნიკოვი (III ადგილი); მარჯვნივ — პრიზიორები გიგანტურ სლალომში: გ. შიხოვა (I ადგილი) და ნ. პერჩატკინა (III ადგილი); ქვევით — ვაჟებში 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ვერცხლის მედლის მფლობელი გ. ნაპალკოვი.

გ. კიკვაძის ტელეფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 51 (5081)

1974 წ. 13 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან ტელეფონით გვატყობინებს

## მაყურებლის დაუდევრობით დაკარგული ქულები

ბაკურიანი, 11 მარტი. საქართველოს სპორტსმენებს დღეს სამივე სახეობაში ხელი მოეცარათ. განსაკუთრებით დასანანი იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატ ს. ნასყიდაშვილის („კოლმეურნე") მარცხი.

სამთომთხილამურეთა ასპარეზმა კოხტაგორის ძველ, ყველასთვის კარგად ნაცნობ ტრასაზე გადაინაცვლა. ამან განსაკუთრებით გაახარა ვეტერანები, რომლებიც ამ ტრამპლინს ხუთი თითივით იცნობენ. ძველი ნაცნობობა ნასყიდაშვილისთვისაც ხელსაყრელი იყო. გიგანტური სლალომის ტრასაზე იგი გაბედულად დაეშვა, მაგრამ როცა ფინიშამდე ოცდაათიოდე მეტრი დარჩა, ერთ-ერთმა გაუფრთხილებელმა მაყურებელმა მის წინ გადარბენა სცადა. სპორტსმენი დაეცა და ფეხიდან თხილამური გასძვრა. დაიკარგა ძვირფასი დრო. საბოლოოდ ნასყიდაშვილის შედეგია 2.02,97.

სპორტსმენი ამ მარცხმა იმდენად დააბნია, რომ კინაღამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. მაგრამ წესია: როცა მონაწილეს შეჯიბრების ორგანიზატორების გაუფრთხილებლობით ან სხვა რაიმე გარეშე მიზეზით ეშლება ხელი, მას სტარტი ხელახლა უნდა მისცენ. მსაჯთა კოლეგიამ ეს უფლება გამოიყენა და სპორტსმენს განმეორებით დაშვება შესთავაზა. დაქანცულმა, შეშინებულმა ნასყიდაშვილმა ამჯერად პირვანდელი შედეგი 0,04 წამით გააუარესა.

გაუფრთხილებელი მაყურებლის დაუდევრობამ საქართველოს სპორტულ დელეგაციას, სულ ცოტა, 10 ქულა მაინც დაუკარგა.

სამაგიეროდ, დიბაშოელმა თ. კოზანაშვილმა ქალიშვილთა შეჯიბრებაში VI ადგილი დაიკავა და გუნდს 10 ქულა შესძინა.

სამწუხაროდ, დღეს ეს იყო საქართველოს სპორტსმენთა მთელი ნადავლი. მედლების 95 მაძიებელი წარსული შედეგების მიხედვით შედგენილი კლასიფიკაციით 6 ჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფში მოხვდნენ ისინი, ვინც თავი წარსულ შეჯიბრებებში გამოიჩინა. ეს სპორტსმენები პირველნი ეშვებოდნენ. ამას კი მაღალი შედეგებისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

წინა საღამოს წილისყრის დროს „ბედმა უმტყუნა" სპორტის ოსტატ ნ. მერკულოვას, რომელმაც ამ სპარტაკიადაში უკვე მოასწრო ოქროს მედლის მოპოვება სწრაფდაშვებაში. მერკულოვას პირველი სასტარტო ნომერი შეხვდა, რაც ბრძოლის დროს მეტოქეთა მაჩვენებლების გათვალისწინების საშუალებას ართმევდა.

მაგრამ მერკულოვა ამას დიდად არ დაუღონებია და დისტანცია ბრწყინვალედ გაიარა — 1.48,01. მაღე ასპარეზობა დაამთავრა სპორტის ოსტატმა გ. შიხოვამ, რომელმაც 1.45,37 აჩვენა. ამ შედეგს ვერც ერთი მონაწილე ვერ მიუახლოვდა.

სპარტაკიადის ჩემპიონმა, მოსკოვის ოლქის გუნდის წევრმა, 33 წლის გ. შიხოვამ, რომელიც ცსკა-ში ფიზკულტურის ინსტრუქტორად მუშაობს, სათხილამურო სპორტში ვარჯიში საკმაოდ გვიან, 17 წლისამ დაიწყო, მაგრამ ამას მისი წარმატებებისთვის ხელი არ შეუშლია. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში შიხოვამ ბევრჯერ ისახელა თავი. სპეციალობით საფრენი აპარატების ინჟინერი, დღემდე უკვე რვაჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

— მე ბაკურიანშიც ბევრჯერ გამოვსულვარ, მაგრამ ასეთი საპატიო ჯილდო პირველად მოვიხვეჭე, — გვითხრა შიხოვამ. — მართალია, ჯერ არ ვაპირებ სამთო-სათხილამურო სპორტს თავი დავანებო, მაგრამ წლები მაინც თავისას შვრება. ვინ იცის, იქნებ ეს მედალი ჩემი ბოლო ოქროს ჯილდო იყოს.

— განა სპეციალურ სლალომში წარმატებაზე არ ფიქრობთ?

— წარმატებაზე ყველა სპორტსმენი ოცნებობს, სპარტაკიადამ კი თითქმის ასამდე სამთომთხილამურეს მოუყარა თავი. მართალია, ფავორიტები შედარებით ცოტანი ვართ, მაგრამ ბრძოლა მაინც დაუნდობელი იქნება.

ამასობაში დიქტორმა გამოაცხადა, რომ რბოლა დაამთავრა ქალიშვილთა შორის სწრაფდაშვებაში გამარჯვებულმა, სპორტის ოსტატმა ტ. პერჩატკინამ — 1.49,30.

— მაღალი შედეგია. ნახეთ, თუ ტატიანა ამ სახეობაშიც პირველი არ იყოს. მისი ინტერვიუ ძალიან საინტერესო იქნება, — გვითხრა შიხოვამ.

ეს სიტყვები გამართლდა. პერჩატკინამ გაიმარჯვა და ინტერვიუც შედგა:

— ბაკურიანში რომ მოვდიოდი, უკვე მედლებზე ვფიქრობდი. თითქოს არც მეეჭვებოდა, სწრაფდაშვებაში ყველას რომ ვაჯობებდი. მაგრამ დღევანდელი პირველი ადგილი „დაუგეგმავი" იყო, თუმცა გიგანტურ სლალომში უმედლოდ დარჩენას არ ვაპირებდი. შედეგებით კმაყოფილი ვარ.

— რას გვეტყვით სპარტაკიადის განვლილ დღეებში სამთომთხილამურეთა შედეგებზე?

— სამთომთხილამურეთა შედეგებზე მე ვერ ვიმსჯელებ, მაგრამ მაინც გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ეს მაჩვენებლები საერთაშორისო დონეს ბევრად ჩამორჩება. ჯერ კიდევ დიდი შრომა დაგვჭირდება, რომ ამ სახეობაში ევროპის ქვეყნების სპორტსმენებს დავეწიოთ.

— რატომ არ გამოდიხართ ქალთა შეჯიბრებაში? განა გუნდს იქ უფრო მეტ ქულას არ შესძენდით?

— ასეთი იყო გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, მას არ ეგონა, რომ სწრაფდაშვებაში საერთო მესამე ადგილს დავიკავებდი, ხოლო დღეს მეოთხე შედეგს ვაჩვენებდი. ქალიშვილთა შეჯიბრებაში ორი დისტანციის მოგებით გუნდს 36 ქულა შევძინე, ქალთა ტურნირში კი 32 ქულას მივიღებდი, როგორც ხედავთ, ხანდახან მწვრთნელებიც ცდებიან.









### ტექნიკური შედეგები

ტრასის სიგრძე 1350 მ, სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 62 კარი.

ქალები. გ. შიხოვა (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 1.45,37, ნ. მერკულოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 1.48,01, ნ. პერჩატკინა (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.48,50, ლ. კაბანოვა (კემეროვოს ოლქი, „ბურევესტნიკი") — 1.50,71, გ. სიდოროვა (მოსკოვი, „ლოკომოტივი") — 1.51,91, ნ. მელიუკოვა (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.52,17; ქალიშვილები. ტ. პერჩატკინა (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.49,30, ა. ფილიპოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 1.52,12, ო. გლუხოვა (კრასნოიარსკის მხარე, „ბურევესტნიკი") — 1.56,91, ს. გოლუბცოვა (მურმანსკის ოლქი, „ტრუდი") — 1.57,31, ზ. კოტელნიკოვა (ყაზახეთი, „დინამო") — 1.59,21, თ. კოზანაშვილი (საქართველო, „დინამო") — 1.59,28; გუნდური შედეგები: 1. მოსკოვი — 78 ქულა; 2. ბაშკირეთის ასსრ — 76; 3 მოსკოვის ოლქი — 46; 4. კემეროვოს ოლქი — 43; 5. ლენინგრადი — 28,5; ლენინგრადის ოლქი — 26... 13. საქართველო — 10.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974





დასასრული

## მხარი ვერ აუბეს

გუშინ 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მ. გავას გამარჯვებამ დიდად გაახარა საქართველოს იუნიორთა გუნდის წევრები: პ. და მ. ბაკაევები, ვ. მიქაბერიძე, ბ. ზანგიევი. მართალია, პირველობისთვის მებრძოლ 48 სპორტსმენს შორის მეორეთანრიგოსნები მხოლოდ ბაკურიანელთა კვარტეტის წევრები იყვნენ, მაგრამ სპორტის ოსტატებთან და პირველთანრიგოსნებთან ჭიდილში უკან დახევა არც ერთს არ უფიქრია: ჭაბუკებმა ძალიან მოინდომეს, მაგრამ გავასა და წაქაძეს მაღალი შედეგების მოპოვებაში მხარი ვერ აუბეს, თუმცა ბევრი უფრო მაღალი თანრიგის სპორტსმენი ჩამოიტოვეს.

საქართველოს იუნიორთა შორის საუკეთესო პ. ბაკაევი 74 და 69,5 მეტრზე გადახტა.



პირველობისთვის ბრძოლაში დაწინაურდა 19 წლის კიროველი სპორტის ოსტატი ე. ჩერნიშოვი. პირველ ცდაზე იგი 81 მეტრზე გადახტა და 113,7 ქულა დაიმსახურა. უფრო შორს — 82 მეტრზე გადახტა პერმელი პირველთანრიგოსანი ა. ვიხარიოვი, რომელსაც მოსკოველმა პირველთანრიგოსანმა ა. ბორტნიკოვმა ორი მეტრით აჯობა, მაგრამ სტილში ჩერნიშოვს ორივე ჩამორჩა.

გამოუცდელობა ბიჭებს მეორე ცდაზე შეეტყოთ. ლიდერები შედრკნენ, შედეგები საგრძნობლად გაუარესდა. ტომსკელმა პირველთანრიგოსანმა ა. პეტროვმა ამით ისარგებლა და ასპარეზობის ჩარხი თავისკენ დატრიალა.

### ტექნიკური შედეგები

ა. პეტროვი (ტომსკის ოლქი, „სპარტაკი") — 214,8 ქულა (ნახტომები — 71,5, 79 მ), ე. ჩერნიშოვი (კიროვის ოლქი, „ლოკომოტივი") — 214,0 (81 და 74,5 მ), ა. ბორტნიკოვი (მოსკოვი, „სპარტაკი") — 207,9 (84 და 78), ა. ვიხარიოვი (პერმის ოლქი, „შრომითი რეზერვები") — 205,8 (82 და 74), ა. კარაპუზოვი (ლენინგრადის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 205,6 (76 და 75,5), ა. კუზნეცოვი (პერმის ოლქი, „დინამო")—204,7 (79 და 75,5).

## ჯერჯერობით მეცამეტე...

დაიწყო ვაჟთა და ქალთა ასპარეზობა ერთადგილიანი ციგებით. გამარჯვებულს ოთხი დაშვების ჯამში ნაჩვენები საუკეთესო შედეგი გამოავლენს. დღეს თითო დაშვება მოეწყო. ქალთა შორის დაწინაურდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მოსკოველი ნ.



შაშკოვა, რომელმაც 810-მეტრიანი ტრასის გავლას 48,042 წამი მოანდომა.

ვაჟთა შორის ლიდერობა ხელთ იგდო უკრაინელმა ი. კორიაკინმა — 42,505. საქართველოს გუნდის წევრთაგან საუკეთესო, ბაკურიანელი თ. თედიაშვილი ჯერჯერობით XIII ადგილზეა.

## სტუმარი აზრს გვიზიარებს

სპარტაკიადას ესწრება გდრ-ის მოციგავეთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი თ. კელერი.

დავინტერესდით, როგორ შეაფასებდა გამოჩენილი სპეციალისტი ბაკურიანის საციგაო ტრასას, რას იტყოდა საბჭოთა სპორტსმენთა მომზადების დონეზე.

— ტრასაზე სამდურავი არ ითქმის, ოღონდ ესაა, რომ დისტანცია მოკლეა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. როგორც მითხრეს, საბოლოოდ დისტანცია 1850 მეტრს მიაღწევს და 17 ვირაჟი ექნება. აი, მაშინ კი ბაკურიანში ასპარეზობაზე მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებიც არ იტყოდნენ უარს. მართალია, ტრასაზე ჯერჯერობით მოსაგვარებელია ბევრი სხვა წვრილმანიც, მაგრამ არ მეეჭვება, რომ ახალი სეზონისთვის ყველა ნაკლი გამოსწორდება. რაც შეეხება საბჭოთა მოციგავეების ტექნიკურ მომზადებას, იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება საერთაშორისო დონეს, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპორტის ეს სახეობა თქვენში შედარებით ახალი დანერგილია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მოციგავეების წინსვლა საგრძნობია. განსაკუთრებით მესიამოვნა, რომ ეს ტრასა ერთ წელზე ნაკლებ დროში ყოფილა აგებული ადგილობრივი მოციგავეების აქტიური მონაწილეობით. მჯერა, სადაც საციგაო სპორტისადმი ასეთ სიყვარულს იჩენენ, იქ არ გაუჭირდებათ რამდენიმე წელიწადში საერთაშორისო კლასის სპორტსმენების მომზადება, ოღონდ საამისოდ დიდი გარჯა, დაუღალავი ვარჯიში და პირველხარისხოვანი ინვენტარია საჭირო. ვისურვებდი, რომ აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში მომავალში გდრ-ის მოციგავეებსაც მიეღოთ მონაწილეობა.

## ჟურნალისტების ერთგული დამხმარენი

ტელეფონით, ტელეგრაფით, ტელეტაიპით ბაკურიანიდან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ყოველდღე უამრავი ცნობა იგზავნება სპარტაკიადის შედეგების შესახებ. უკან დარჩა ასპარეზობის ხუთი დღე. პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, სპორტსმენებს კავშირგაბმულობის მუშაობაზე ჯერ საყვედური არ უთქვამთ. ეს პირველ ყოვლისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ზრუნვის შედეგია. სამინისტრო მარტო ახალი ჯიხურებისა და აპარატების დადგმას, მარტო დამატებითი არხების დამონტაჟებას როდი დასჯერდა. მან სპარტაკიადის ხანიმუშო მომსახურებისთვის ბაკურიანში რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან სპეციალისტთა რამდენიმე ბრიგადა მოავლინა.

პრეს-ცენტრში საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ოთხი ჯიხურია. აქვე, საქართველოს სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატში დილიდან საღამომდე არ წყდება ტელეტაიპის ხმა. მოდის ცნობები სვერდლოვსკიდან, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრებები სპარტაკიადის რამდენიმე სახეობაში. ჟურნალისტების დასახმარებლად ყოველ წუთს მზად არიან გამოცდილი ტელეფონისტები: თბილისის საქალაქთაშორისო სადგურის ცვლის უფროსის თანაშემწე ქ. ფილიპოვა და ბორჯომის საქალაქთაშორისო სადგურის თანამშრომელი გ. თედიაშვილი.

სხვა პუნქტებში ასევე გულმოდგინედ მუშაობენ ქ. კუძიევა, ხ. ჯიზმალიძე, ლ. დავთიანი და სხვები.

## ყველაფერს ასწრებს

სად არ ნახავთ ამ კაცს, რომელ დიდი მასშტაბის შეჯიბრებაზე არ შეხვდებით. უფრო ხშირად საწყლოსნო სპორტის მოყვარულთა ასპარეზობის დროს მესტარტის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ უმისოდ არც სხვა საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის ტურნირები ჩატარდება. თუ არ მსაჯობს, გრავიორის მაგიდას უზის, პრიზებს, მედლებს და სპორტსმენებისთვის განკუთვნილ სხვა საჩუქრებს დასტრიალებს თავს, გზას ულოცავს.

თბილისის მაღაზია „ბავშვთა სამყაროს" გრავიორი, ცურვაში საკავშირო კატეგორიის მსაჯი შ. ვაჩნაძე ზამთრის III სპარტაკიადაზეც მიიწვიეს.

უნდა გენახათ, სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალზე, რომელიც 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული მიხეილ გავასთვის უნდა გადაეცათ, როგორი სიყვარულით ამოტვიფრა: „გავა მიხეილი. 10. III. 1974 წ. ბაკურიანი".

შოთას ხამუშაო მაგიდა საქართველოს სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატის აივანზე დგას. ოსტატი მედლებს თავს დასტრიალებს, თან ცალი თვალით შეჯიბრებას უყურებს. იგი ყველაფერს ასწრებს და ხუმრობის დროსაც პოულობს.

— უკვე მედლების ხუთ კომპლექტს მივეცი საგზური. საჩუქარი უფრო მეტი იყო. ომ, რა კმაყოფილი ვიქნებოდი, ოქროს მედალზე თუნდაც ორი ან სამი ქართველი სპორტსმენის გვარი რომ ამომეტვიფრა, — ამბობს იგი.

## გეგმის მიხედვით

ბაკურიანის ნაადრევმა გაზაფხულმა სპარტაკიადა საგრძნობლად „შეავიწროვა". თოვლი თანდათან ჩრდილისკენ მიიწევს. მზიან ადგილებში თოვლის ფენა იმდენად შეთხელდა, რომ საგანგებო ზომების მიღება გახდა საჭირო. წინაშე შეჯიბრება 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ამ სახეობაში ჩემპიონი 16 მარტს გამოვლინდება. მანამდე სპორტსმენებს ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები სჭირდებათ. ბაკურიანის ცას ამ პირობების შექმნაში ისევ სპარტაკიადის ორგანიზატორები, ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელები, საქართველოს სპორტკომიტეტის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსი და მისი მთავარი ინჟინერი დაეხმარნენ. ტრამპლინის დაშვების კონტრფერდობზე 800 ტონამდე ნახერხი დაყარეს, მერე კი ამდენივე თოვლს შემოზიდავენ. ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდება.

* * *





სურათებზე: ზევით — თ. კოზანაშვილი; ქვევით — ბაკურიანის ტრამპლინებისა და კონტრფერდობის მიდამოები.

თ. გელაშვილისა და ჯ. კასრაძის ფოტოები.



ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР-1974



# ცნობები უკტუსის ფერდობებიდან

სვერდლოვსკი, 11 მარტი. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა კალენდარში მეოთხე ფურცელი მოთხილამურე ქალებმა გადაშალეს თბილ, მზიან დარში. 5 კილომეტრზე რბოლაში პროგნოზები მთლიანად გამართლდა: მაღალ ტატრებში, საპოროსა და ფალუნში გამარჯვებულმა გ. კულაკოვამ უკტუსის ფერდობებზეც ყველას აჯობა. მისი შედეგია 17.30,89. ვერცხლის მედალი ხვდა ნ. სელიუნინას (იოშკარ-ოლა) — 17.42,55. ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა ნოვოსიბირსკელმა ზ. ამოსოვამ — 17.44,77.

— საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში, — ამბობს კულაკოვა, — მეორედ ვმონაწილეობ. 1966 წელს სწორედ აქ გამართულ შეჯიბრებაში გამოვედი. მართალია, მაშინ დიდი წარმატება არ მომიპოვებია, მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში კი შემიყვანეს. ამიტომ დღევანდელი გამარჯვება ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. რაც შეეხება სამერმისო გეგმებს, შემიძლია გითხრათ, რომ დიდი სურვილი მაქვს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო 1976 წელსაც ინსბრუკის ოლიმპიურ ტრასებზე.

დისტანციაზე ბრძოლა ისე წარიმართა, რომ გალინამ ერთი წამითაც არავის დაუთმო ინიციატივა.

იუნიორთა შეჯიბრებაში იმავე დისტანციაზე პირველობდა 19 წლის ტარტუელი სტუდენტი რ. რეჰემაა. ცნობილი ესტონელი მწვრთნელის ა. აბელის მოწაფემ უკვე ბევრჯერ მოიპოვა გამარჯვება ევროპის იუნიორთა შეჯიბრებებში. სათხილამურო სპორტი რუთს ძმამ შეაყვარა, მწვრთნელმა კი შთააგონა, რომ დიდი წარმატება მხოლოდ დიდი შრომის ნაყოფია. რეჰემაას წვრთნის პროგრამაში შედის კროსები დიდ მანძილზე, კალათბურთი, მძლეოსნობა, ცურვა და ყოველდღიური, ხანგრძლივი ვარჯიში თოვლიან ბილიკებზე.

იმავე დღეს დაიწყო ფიგურისტთა ტურნირი. ქალებმა ჯერ სავალდებულო პროგრამით ისპარეზეს პროფკავშირთა სპორტის სასახლის ყინულზე, მერე კი მაყურებლებს მოკლე პროგრამა უჩვენეს.

* * *

სურათებზე: ზევით — გ. კულაკოვა დისტანციაზე; ქვევით — მოციგურავეთა სპრინტერული მრავალჭიდის პრიზიორები: მოსკოველი ს. მარჩუკი, ლენინგრადელები გ. კაშჩეი და ა. საფრონოვი.



# ფაქტების პირისპირ

## რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სპორტული მუშაობა 1973 წელს

ჩვენ ვაღიარებთ, რომ ყველა გუნდის წარუმატებლობას ჰქონდა ობიექტური მიზეზებიც, მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ მხოლოდ მსაჯობას (თუმცა იგი ზოგჯერ უფრო მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო), დავაბრალოთ მხოლოდ საგაზეთო ანგარიშებს (თუმცა ეს ანგარიშებიც მუდამ უნაკლო როდი იყო), დავაბრალოთ მაყურებლებს. მთავარი მიზეზი გუნდებმა თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებში, თავიანთ შეცდომებში უნდა ეძებონ, ვინაიდან ამ შეცდომათა აღიარებისა და დაძლევის გარეშე წინ წასვლა ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ გვსურს ჩვენი გუნდების თამაში უფრო მაღალ დონეზე დავაყენოთ, საწვრთნელი პროცესის ხარისხზე, თამაშის ორგანიზაციის პრობლემებზე, მაღალმორალურ, ჯანსაღ ატმოსფეროზე და სინამდვილის კრიტიკულ აღქმაზე ჩვენ ვლაპარაკობთ, როგორც წინსვლის მთავარ პირობებზე. მაგრამ ფეხბურთი, ესაა პირველ ყოვლისა ადამიანები, ესე იგი მწვრთნელები და ფეხბურთელები. რამდენად უპასუხებენ ისინი დღევანდელ მაღალ მოთხოვნებს? რამდენად უწყობს ხელს საუკეთესო შედეგების მიღწევას არსებული ობიექტური პირობები, ვთქვათ საწვრთნელი ბაზებისა და სტადიონების დღევანდელი მდგომარეობა?

თბილისის „დინამოს“ შარშანდელი გამოსვლების შემდეგ ზოგიერთმა სულსწრაფმა ნაჩქარევად გამოიტანა დასკვნა, თითქოს მთავარი მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივ მწვრთნელებს ვენდობით, ისინი კი რანგით არ შეეფერებიან „დინამოს“. ისე ლაპარაკობენ, თითქოს, თუ გარეშეს მოვიწვევთ ვისმეს, იმას უკვე ჯიბეში უდევს პირველი ადგილი ჩვენებისთვის. მართლა ასე რომ იყოს, რამდენჯერაც წლების მანძილზე ხალხი გვყავდა მოწვეული, იმდენჯერ ჩვენს დინამოელებს პირველი ადგილი უნდა დაეკავებინათ. დროა შევიგნოთ, რომ სასწაულები არ ხდება.

უცხოს მოითხოვენ, რადგან თავიანთი მწვრთნელი არ მოსწონთ. მაგრამ, თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, თავის დროზე არც ეს ჩამოყვანილი სპეციალისტები მოსწონდათ დიდად ამ ჩვენს სულსწრაფებს. გამონაკლისი იყო მხოლოდ 1964 წელი, როცა თბილისის დინამოელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ერთადერთი შემთხვევაა. ახლა ავიღოთ ერთი უფრო ახალი მაგალითი: გუნდთან მუშაობდა გ. ჩოხელი. მისი ხელმძღვანელობით „დინამომ“ ქვეყნის პირველობაში III ადგილი დაიკავა და სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში გავიდა. სულ ერთია, ჩოხელი მაინც შეცვალეს ჩამოსული სპეციალისტით. მიუხედავად ამისა, დინამოელებმა უკეთესი შედეგები ვერ მოიპოვეს და გუნდის პერსპექტივებმაც იკლო. რატომ? საქმე ისაა, რომ ჩამოსულსა და უცხოს მუდამ უფრო მეტად უჭირს ნიჭიერი ახალგაზრდების შემოკრება, ვინაიდან არ იცნობს მათ. გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდობის დენა შეწყდა და ამან დაუყოვნებლივ იჩინა თავი. სწორედ ამიტომ, ჩვენი ფეხბურთის მომავალი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გადაწყდება მის ყველა სართულზე საკუთარი მწვრთნელების პრობლემა.

ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში, კაცმა რომ თქვას, ეს პრობლემა საერთოდ არ დასმულა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვალდებული ვართ გამუდმებით ვზრუნავდეთ ბავშვთა მწვრთნელების პროფესიული კულტურის ამაღლებისთვის, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს სწორედ მათ, ამ მწვრთნელებს უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს მოზარდთა ფეხბურთის მოწინავე პოზიციებს საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

მწვრთნელთა პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას საშუალო რგოლში — II ლიგის ოსტატთა გუნდებში. მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ეს პრობლემა აქაც არ დაისმებოდა, კადრებს უფრო ფრთხილად რომ მოვქცეოდით. მაგალითად, თავის დროზე ბათუმელებს არ გამოადგათ ისეთი ავტორიტეტული მუშაკი, როგორიც ვ. რამიშვილია. მათ უარი თქვეს თავიანთ, ადგილობრივ ნიჭიერ მწვრთნელზე — ვ. ჯოხაძეზე. ფოთში ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბ. ორლოვიც, რომლის ქედუხრელობაც არ მოეწონათ ადგილობრივ მეცენატებს. ასეთი მიდგომით მწვრთნელებს ვერ შეინარჩუნებ. იქნებ სწორედ მესვეურთა წუნიაობის შედეგია ბათუმის „დინამოს“ ყოვლად უხეირო თამაში? არ შეიძლება მწვრთნელების ასე მიფანტ-მოფანტვა, თუმცა არც ის ივარგებს, რომ გუნდის ბედი შემთხვევითს კაცს ჩავაბაროთ. მწვრთნელთა კრიზისი, რასაც II ლიგის გუნდები განიცდიან, ჩვენი აზრით, ხელოვნურადაა გამოწვეული.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 48, 49.

ამ კრიზისის დაძლევა შეიძლება და უნდა დავძლიოთ კიდეც ადგილობრივი კადრების საშუალებით.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ, კარგ მწვრთნელს, ამას მოწმობს შარშანდელი მაგალითი ქუთაისის „ტორპედოსი“, რომელიც თითქოს ფენიქსისებრ აღდგა. ვერც ერთი გარეშე მწვრთნელი ვერ გამოიჩენდა ირგვლივ მყოფი ახალგაზრდობის ასეთ ცოდნას, მათს მიმართ ასეთ ნდობას, ასეთ გაგებას მათი თამაშის თავისებურებებისას, ასეთ მოქნილობას ანსამბლში მათი გამოყენების დროს, ისიც არა განყენებულ, არამედ კონკრეტულ, ქართული ფეხბურთის საუკეთესო ტრადიციებზე შექმნილ ანსამბლში. ახლა იქ, ქუთაისში, ყველასთვის ნათელია, რომ საკუთარი მწვრთნელი, თუ კარგია, ყოველთვის ჩამოსულზე უკეთ გაართმევს თავს საქმეს.

მაგრამ გვყავს თუ არა კიდევ ეს კარგი მწვრთნელები? იქნებ თბილისის „დინამოს“ შარშანდელი გამოცდილების შემდეგ აღარ ღირს ამ ექსპერიმენტის გამეორება? რატომ არ ღირს? ჯერ ერთი, არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ მწვრთნელთა შეცდომები მუდამ მხოლოდ მათი დაბალი კვალიფიკაციის შედეგია. ამ შემთხვევაში მწვრთნელის კვალიფიკაცია არა გვგონია საეჭვო იყოს. გარდა ამისა, ქვეყანა ერთ მწვრთნელზე კი არ ჰკიდია. დღეს ჩვენ ბევრი ახალგაზრდა მწვრთნელი გვყავს, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან სხვა რესპუბლიკებში უმაღლესი ლიგის გუნდებთან მომუშავე თავიანთს თანატოლებს. ასე რომ, საჭიროა მხოლოდ კარგად შერჩევა, აღზრდა. ერთი თუ არ გამოგვადგა, მეორე გამოინახება.

ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელთა იმპორტის იმედად დარჩენა არც რეალურია, არც შორსმჭვრეტელური. დროა მყარ ნიადაგზე დავდგეთ. აქ მთავარია შეუპოვრობის გამოჩენა, საკუთარი კადრების გამოყენებისკენ კურსის აღება და ამ კურსის მკაცრად დაცვა. მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთქმული არ ეწინააღმდეგება ჩვენს მთავარ შეხედულებას: რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების შარშანდელი წარუმატებლობა პირველ ყოვლისა მწვრთნელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ბრალია. პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ.

მართალია, ჩვენი სტადიონები და საწვრთნელი ბაზები, როგორც წესი, საშინელ მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ საჭიროა გადამჭრელ ღონისძიებათა გატარება საქმის გამოსასწორებლად. საოცარია, რომ თავად ზემოხსენებული ბაზების მფლობელნი სულაც არ არიან დაინტერესებული ამ საკითხით. მაგრამ, თუ ფეხბურთი გიყვართ და გინდათ დაეხმაროთ მას, მაშინ მინდვრების ხარისხითაც დაინტერესდით, ამხანაგებო!

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თბილისისა და სოხუმის „დინამოს“ სტადიონების მშენებლობის კუს ნაბიჯები უკვე ძალიან ძვირად დაგვიჯდა, რამდენადაც უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის პირველი გუნდის თამაშზე და გამოიწვია ფეხბურთის დაუძლურება სოხუმში, რომელსაც აღარ ჰყავს ოსტატთა გუნდი.

ცუდადაა საწვრთნელი ბაზების საქმეც. საერთოდ, ასეთი ბაზა ჩვენი გუნდებიდან მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ აქვთ. ამასთან, „დინამოს“ ბაზა არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებსა და შუა საცხოვრებელ მასივში მდებარეობის გამო ძალიან ართულებს გუნდის მზადებას. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და მისი გადაწყვეტა არ შეიძლება უსასრულოდ გადაიდოს.

გარდა იმისა, რომ მინდვრები ცუდია, თითქმის არც ერთს არ გააჩნია დამხმარე მოწყობილობანი (კედლები, გადასატანი ფარები და კარები, დგარები, ბატუტი, სამიზნეები და ა. შ.). ამის გამო ბავშვების სწავლება და გუნდების წვრთნა პრიმიტიულ პირობებში ტარდება. ეს მაშინ, როცა სხვა რესპუბლიკებში წვრთნის პირობების გაუმჯობესების მიზნით უკვე ინერგება კომპლექსურად აღჭურვილი ფეხბურთის პატარა ქალაქები. იმის შესახებ, რომ ბაზებსა და სტადიონებზე აუცილებლად უნდა იყოს დამხმარე საწვრთნელი მოწყობილობა, სსრ კავშირის სპორტკომიტეტს სპეციალური დადგენილება აქვს გამოტანილი, მაგრამ, მიუხედავად დიდი მონდომებისა, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ და სამმართველომ ვერ აიძულეს სტადიონების მესვეურები, რომ ნორმალური წვრთნის ეს ელემენტარული პირობები უზრუნველყონ. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ეს გარემოება სერიოზულად აფერხებს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ ხარისხობრივ ზრდას. და აქ, როგორც ჩანს, საჭირო გახდება რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საქმიანი ჩარევა.

ჩვენ ისეთს არაფერს მოვითხოვთ, რაც უკვე დღეს ნორმად არ არის ქცეული სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. ავიღოთ თუნდაც ერთი შეხედვით ისეთი წვრილმანი, როგორიცაა ვიდეომაგნიტოფონი. უამისოდ დღეს, უბრალოდ, შეუძლებელია მაღალი კლასის გუნდის არსებობა, ვინაიდან ვიდეომაგნიტოფონს ვერაფერი შეედრება ჩატარებული თამაშისა თუ საწვრთნელი მეცადინეობის შესწავლასა და გაანალიზებაში. რატომ არიან ამ საშუალებას მოკლებული ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები, რომლებიც მუდამ საბჭოთა ფეხბურთის მოწინავე რიგებში დგანან? რატომ იქცა გადაუჭრელ პრობლემად ვიდეომაგნიტოფონების შეძენა თუნდაც თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსთვის“? ჩვენ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს ვთხოვთ დაგვეხმარონ ამ საკითხში.

დიახ, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმ ობიექტურ გარემოებებზე, რომლებიც სერიოზულად უშლის ხელს ქართული ფეხბურთის წარმატებებს. ამავე დროს, ამ ობიექტურ მიზეზებს უკან არ უნდა ვიმალებოდეთ. ფეხბურთში მთავარი ძალა ფეხბურთელია. ხოლო აქ, მიუხედავად იმ პრეტენზიებისა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადების მიმართ გვაქვს, მიუხედავად პრეტენზიებისა ჩვენი მოწინავე ფეხბურთელებისადმი, მათი ოსტატობისა და ნებისყოფისადმი, დასასრულ, მიუხედავად ჩვენი სურვილისა, რომ უფრო მეტი ნამდვილი ვარსკვლავი გვყავდეს, უნდა ითქვას, რომ მოთამაშეთა კლასის თვალსაზრისით ალბათ კი არ ჩამოვრჩებით, ვუსწრებთ სხვებს საბჭოთა კავშირში. ასეა თუ ისე, ჩვენ უფრო მდიდრები ვართ ფეხბურთელებით. მაგრამ მაინც ვალდებული ვართ უფრო მეტი წარმატებისთვის ვიბრძოლოთ. და თუ ვერ ვაღწევთ ამ წარმატებებს, ეს ხდება ისევ უმთავრესად მწვრთნელთა მიზეზით, რომლებიც სათანადოდ ვერ იყენებენ თავიანთი გუნდების პოტენციურ ძლიერებას, რაც გამოხატულებას პოულობს როგორც ფეხბურთელთა შემადგენლობაში, ისე დაკომპლექტების შესაძლებლობებში. დღეს მწვრთნელები წარმოადგენენ მთავარ რგოლს ჩვენი ფეხბურთის წარმატებათა თუ წარუმატებლობათა განმსაზღვრელი ფაქტორების ჯაჭვში.

როგორც ჩანს, სადღაც თავის ადგილზე არ აღმოჩნდნენ, სადღაც ჩამორჩნენ თანამედროვე მოთხოვნებს ფეხბურთელთა მზადების საკითხში, სადღაც მცდარი იდეების ტყვეობაში მოექცნენ, სადღაც, უბრალოდ, შეცდომა დაუშვეს დაკომპლექტებისას, წვრთნისას, ცალკეული შეხვედრების დროს, სადღაც სათანადოდ ვერ დააფასეს აღმზრდელობითი მუშაობის როლი, სადღაც დაარღვიეს ექიმებთან კონტაქტი, სადღაც ვერ გამოიჩინეს სათანადო მომთხოვნელობა და საჭირო თვისებები საიმისოდ, რომ კოლექტივთან საერთო ენა გამოენახათ და შეედუღაბებინათ იგი. აქ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ფეხბურთის ფედერაციას და სამმართველოს, აგრეთვე, ადგილობრივ სპორტულ ორგანიზაციებს უფრო სერიოზულად და საქმიანად რომ გაეწიათ კონტროლი გუნდებისა და მწვრთნელების მუშაობისთვის, ბევრ რამეს თავიდან ავიცილებდით. ესეც ჩვენი დასკვნაა მომავლისთვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წინ გადადგმულია დიდი ნაბიჯი — წარმოდგენილი მასალების ხარისხითა და სისრულით საფეხბურთო გუნდების წლევანდელი ანგარიშები აშკარად სჯობს შარშანდელს. სასურველია, რომ მომავალში ოსტატთა ყველა გუნდმა, ზოგიერთის მაგალითისამებრ, ანგარიშებს დაურთოს მზადების წლიური გეგმის ფორმები საანგარიშო მონაცემებისთვის შევსებული სვეტებით. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო კარგად შევადაროთ ერთმანეთს გეგმა და ფაქტი. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ხარისხიანი, სრული ანგარიშები წარმოადგინეს გორის „დილამ“ (გუნდის უფროსი ვ. რამიშვილი, უფროსი მწვრთნელი გ. გაბუნია), სადაც ეს უკვე ტრადიციად იქცა, და მახარაძის „მერცხალმა“ (გუნდის უფროსი ო. გორგოშიძე, უფროსი მწვრთნელი მ. გორდელაძე), რომელმაც გორელთა მაგალითს მიჰბაძა.

რეკომენდაციას ვიძლევით ეს წერილი განხილულ იქნეს გუნდების კრებებზე.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,**
**რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# ხუთეულში მოხვდნენ

ბერლინი, 11 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა დასკვნითი მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს ანგარიშით 26:24 (14:11) და საბოლოო ჯამში V ადგილი დაიკავა. საბჭოთა ხელბურთელებიდან გოლები გაიტანეს: მაქსიმოვმა — 10, პანოვმა — 4, კრავცოვმა და ლაგუტინმა — 3-3, მახორინმა და გასიიმ — 2-2, ოგანესოვმა და ჩიკალაევმა — 1-1.

უძლიერესთა სახელი კვლავ რუმინეთის ხელბურთელებმა მოიპოვეს, რომელთაც ფინალურ მატჩში დაამარცხეს გდრ-ის გუნდი — 14:12 (7:8).

გაგაცნობთ უძლიერესთა ხუთეულს: რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია, პოლონეთი, სსრ კავშირი.

ჩემპიონატის დღეებში გდრ-ის დედაქალაქში მოეწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იგფ) საბჭოს სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ 1975 წლის ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი სსრ კავშირში ჩატარდეს.

გამოცხადდა ისიც, რომ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ქალთა 6 და ვაჟთა 12 გუნდი. ქალთა ოლიმპიურ ტურნირში ითამაშებენ ის გუნდები, რომლებიც მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში პირველ ხუთ ადგილზე გავლენ. ოლიმპიურ სარბიელზე გამოვა შეჯიბრების ორგანიზატორი ქვეყნის — კანადის გუნდიც.

ლოტო

# მორიგი ტირაჟები

10 მარტს მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟები. შეამოწმეთ ბილეთები:

„სპორტლოტო“ — 10 (საბუერო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 18 (რიკაობა), 41 (ჩოგბურთი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 47 (ჰოკეი ბურთით).

„სპორტლოტო-2“ — 2 (ავტოსპორტი), 8 (კრივი), 21 (ცხენოსნობა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 32 (წყალში ხტომა), 38 (მშვილდოსნობა).



## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს „ლიდს იუნაიტედმა" შინ მოუგო „მანჩესტერ-სიტის" — 1:0 (ერთადერთი გოლი პენალტით გაიტანა ლორიმერმა). „დერბი ქაუნთიმ" ფრედ ითამაშა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" — 1:1. ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი" | 33 | 56:21 | 52 |
| „ლივერპული" | 31 | 39:23 | 44 |
| „დერბი ქაუნთი" | 32 | 41:32 | 36 |

### შოტლანდია

23 ტურის შემდეგ ჩემპიონატში დაწინაურდნენ:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 23 | 62:19 | 38 |
| „ჰიბერნიენი" | 23 | 49:28 | 33 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 23 | 40:23 | 30 |

### გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა" ბრემენში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ვერდერთან" — 1:1, ხოლო მისმა უახლოესმა მეტოქემ, მენჰენგლადბახის „ბორუსიამ" სტუმრად მოუგო „ჰანოვერ 96-ს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 24 | 69:43 | 34 |
| „ბორუსია" | 24 | 65:43 | 32 |
| „აინტრახტი" | 24 | 48:39 | 31 |

### იტალია

„ფიორენტინამ" თავის მინდორზე ფრედ დაამთავრა მატჩი რომის „ლაციოსთან" — 1:1. მილანში ადგილობრივმა „ინტერნაციონალემ" სძლია „ტორინოს" — 3:0, ხოლო ტურინის „იუვენტუსმა" ფრედ ითამაშა „ბოლონიასთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 19 | 26:10 | 28 |
| „ნაპოლი" | 19 | 21:14 | 25 |
| „იუვენტუსი" | 19 | 31:20 | 24 |

### ჰოლანდია

ჩემპიონმა და ლიდერმა — „აიაქსმა" ამსტერდამში სძლია „ალკმაარს" — 2:0. გოლები გაიტანეს მურენმა და ჰაანმა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 24 | 71:18 | 40 |
| „ფეიენოორდი" | 24 | 67:24 | 38 |
| „ტვენტე" | 24 | 43:13 | 37 |

### ესპანეთი

მადრიდის „რეალთან" ბრწყინვალე გამარჯვების (5:0) შემდეგ „ბარსელონამ" 23-ე ტურში მოუგო სან-სებასტიანის „რეალსაც" — 4:1, მადრიდის „ატლეტიკომ" კი სძლია სანტანდერის „რეალს" — 2:1. მადრიდის განთქმული „რეალი" ამჟამად მხოლოდ IX ადგილზეა. ასეთი დაქვეითება ამ კლუბს არ განუცდია ბოლო 20 წლის მანძილზე.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 22 | 50:16 | 33 |
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 23 | 36:20 | 28 |
| „მალაგა" | 23 | 23:21 | 27 |

### ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა" მიიღო „ბერჰემ სპორტი" და გაიმარჯვა — 5:1. „ანტვერპენმა" აგრეთვე შინ სძლია „სენ-ტრონს" — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 22 | 53:21 | 34 |
| „რასინგ ვიტი" | 22 | 34:18 | 28 |
| „ანტვერპენი" | 21 | 33:18 | 28 |

### შვეიცარია

შარშანდელმა ჩემპიონმა — „ბაზელმა" შინ დიდი ანგარიშით — 6:0 დაამარცხა ჟენევის „შენუა", მაგრამ სადღეისოდ მხოლოდ VII ადგილზეა. 2 ქულა აიღო ლიდერმა — „ციურიხმაც" ბერნის „იანგ ბოისთან" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი" | 14 | 30:12 | 24 |
| „ნევშატელ ქსამაქსი" | 13 | 26:11 | 19 |
| „ლოზან სპორტსი" | 13 | 18:19 | 17 |

### ავსტრია

ინსბრუკის „სვაროვსკი-ვაკერმა" „აიზენშტადტთან" მოპოვებული გამარჯვებით (3:0) შეინარჩუნა წამყვანი პოზიციები.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სვაროვსკი-ვაკერი" | 18 | 47:12 | 30 |
| „ვოესტი" (ლინცი) | 18 | 35:18 | 28 |
| „აუსტრია" (ვენა) | 17 | 33:19 | 22 |

### იუგოსლავია

მოსტარში ადგილობრივმა „ველეჟმა" მოუგო ჩემპიონს — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" — 4:2. ჩემპიონი V ადგილზეა. სპლიტის „ჰაიდუკმა" ზაგრებში სძლია ადგილობრივ „დინამოს" — 1:0. თბილისელთათვის კარგად ცნობილი ბელგრადის ოფკ ჯერჯერობით VII ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი" | 19 | 31:18 | 24 |
| „რადნიჩკი" | 19 | 20:19 | 24 |
| „ველეჟი" | 19 | 32:24 | 23 |

### ჩეხოსლოვაკია

პრაღის „დუკლამ" დაამარცხა „ჟილინა" — 3:1, ხოლო ტრნავის „სპარტაკმა" ფრედ ითამაშა პრაღის „ბოჰემიანსთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დუკლა" | 16 | 26:16 | 21 |
| „ბანიკი" | 16 | 22:23 | 21 |
| „სლოვანი" | 16 | 29:19 | 20 |

### უნგრეთი

„დოჟა უიპეშტმა" მოუგო „შალგოტარიანს" — 5:0 და ლიდერმა — ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმაც" ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ტატაბანიას „ბანიასი".

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფერენცვაროში" | 17 | 36:18 | 22 |
| „დოჟა უიპეშტი" | 17 | 39:23 | 22 |
| „დოჟა პეჩი" | 17 | 19:16 | 22 |
| „რაბა ეტო" (დიერი) | 17 | 22:20 | 22 |

### ბულგარეთი

სოფიის „ლევსკი-სპარტაკმა" დაამარცხა ტირნოვოს „ეტარი" — 2:1, ცსკა-მ ვარნის „ჩერნო მორე" — 4:3. თბილისელთათვის ცნობილი სოფიის „სლავია" ჯერჯერობით X ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლევსკი-სპარტაკი" | 20 | 44:16 | 36 |
| ცსკა (სოფია) | 20 | 34:19 | 29 |
| „ეტარი" (ტირნოვო) | 20 | 29:18 | 23 |

### რუმინეთი

18 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „უნივერსიტატეა" (კრაიოვა) | 18 | 39:18 | 27 |
| „კონსტანცა" | 18 | 28:16 | 21 |
| „არჯესი" (პიტეშტი) | 18 | 29:28 | 21 |

(საქ. ინფ.).

## ...ტელეფონით

# ფავორიტების შეხვედრა

ბელგრადში გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული, X საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობენ საბჭოთა მოჭადრაკეებიც — მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა.

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ბელგრადში ტელეფონით ესაუბრა ნ. გაფრინდაშვილს.

— ორშაბათს VII ტური გათამაშდა, — თქვა ნონამ. — მე ახალგაზრდა იუგოსლაველ ოსტატობის კანდიდატ სებრიჩთან მომიწია შეხვედრა. კრიტიკულ სიტუაციაში სებრიჩმა უსწოროდ ითამაშა, მე ამით ვისარგებლე და პარტია მოვიგე.

ყურადღების ცენტრში იყო ჩემი მთავარი მოცილეების — უნგრელი ვერეცისა და პოლონელი რაძიკოვსკას შეხვედრა. ვერეცი უფრო მარჯვე აღმოჩნდა. მან ხელთ იგდო უპირატესობა და ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანა იგი. ეს გახლდათ რაძიკოვსკას პირველი მარცხი ტურნირში.

შტადლერმა სძლია პიხაილიჩს, იოვანოვიჩმა — ბოჟკოვიჩს, მარკოვიჩმა (ხუთივე — იუგოსლავია) — ვასნეცკის (გფრ). ყაიმით დამთავრდა ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია) — კალხბრენერის შეხვედრა. გადაიდო ლაზარევიჩ (ორივე — იუგოსლავია) — მედიანიკოვას პარტია.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ მე 6 ქულა და 1 გადადებული პარტია მაქვს. ვერეციმ 5,5 ქულით II ადგილზე გადმოინაცვლა. რაძიკოვსკას კვლავ 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩ მოჭადრაკეებთან

კარგა ხნის ისტორია აქვს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კულტურის სახლთან არსებულ საჭადრაკო სექციას, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. შიშოვი ხელმძღვანელობს.

ამას წინათ სექციას დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი ესტუმრა. იგი დამსწრეთ ესაუბრა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების შედეგებზე, მერე კი ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 30 დაფაზე. დიდოსტატს მოუგეს ი. ეფიმოვმა და პ. ჩხეიძემ. ყაიმს მიაღწიეს დ. ბარბაქაძემ, გ. იანტბელიძემ, მ. ფარცვანიამ, ნ. ზედგენიძემ, ფ. პირაევმა, ზ. ბიჩინაშვილმა. ყველაზე დიდხანს დიდოსტატს მ. მარუაშვილი ეთამაშებოდა. ბოლოს ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა.

მ. კაკულია.

ჭადრაკი

## სპორტი 74

● ლონდონი, 11 მარტი. მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტებმა, რომლებიც სტუმრად არიან ინგლისში, კიდევ ორი მატჩი გამართეს ადგილობრივ „ლონდონ ლაიონსთან". საბჭოთა სპორტსმენებმა ერთ მატჩში გაიმარჯვეს — 4:2, ხოლო მეორე მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრეს.

● პრაღა, 11 მარტი. სსრ კავშირის ნაკრების ჰოკეისტებმა პირველი მატჩი წააგეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 5:7 (1:5, 2:1, 2:1). საბჭოთა გუნდიდან შაიბები გაიტანეს: კაპუსტინმა (2), მიხაილოვმა, ანისინმა და კოტოვმა, მასპინძელთაგან — მარტინეცმა (2), მახაჩმა, სუხიმ, შტიასტნიმ, ნედომანსკიმ და აუგუსტამ.

● პარიზი, 11 მარტი. პ. რომელის ტრადიციულ მემორიალში საბჭოთა რაპირისტმა ს. ისაკოვმა II ადგილი დაიკავა. დამატებითს ორთაბრძოლაში მან წააგო 26 წლის პოლონელ ე. კაჩმარეკთან, რომელმაც, ცხადია, გამარჯვება მოიპოვა.

# კიდევ ერთი პრეტენდენტი

მოსკოვი, 11 მარტი. გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და რიგის არმიელთა შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 89:74 (42:32). მოსკოველი კალათბურთელები სატურნირო ცხრილში ტარტუს „კალევს" გაუთანაბრდნენ. ახლა უკვე ისინიც III საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან.



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 20 | 1897—1632 | 20 |
| „სპარტაკი" | 20 | 16 | 1529—1346 | 16 |
| „სტროიტ." | 20 | 12 | 1714—1627 | 12 |
| „კალევი" | 21 | 11 | 1704—1636 | 11 |
| „დინ." (მ.) | 20 | 11 | 1617—1571 | 11 |
| „დინ." (თბ.) | 20 | 9 | 1543—1581 | 9 |
| „ჟალგირისი" | 19 | 6 | 1476—1532 | 6 |
| რტი | 19 | 5 | 1330—1568 | 5 |
| ასკ (რიგა) | 20 | 5 | 1540—1721 | 5 |
| ასკ (კიევი) | 20 | 5 | 1509—1645 | 5 |

# მოზარდთა რესპუბლიკური

გაიმართა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის II ტურის მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

აღმოსავლეთის ზონა. ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი) 5:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (თბილისი) 0:3, „ავაზა" (თბილისი) — „დილა" (გორი) — 1:1.

დასავლეთის ზონა. „გურია" (ლანჩხუთი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი) 1:4, „ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) — 4:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ფოთი) — 2:1, ახ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „დინამო" (ბათუმი) — 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) — 7:1.




თქვენს წინაა მოკრივეთა პირველი ფოტოსურათი, რომელიც გაზეთებში 1863 წელს გამოქვეყნდა (თუმცა შეიძლება, არქივებში გულმოდგინედ რომ დაეძებნათ, უფრო ძველი ფოტოდოკუმენტისთვისაც მიეგნოთ). მასზე აღბეჭდილი არიან ინგლისელი ტომ კინგი (მარცხნივ) და ამერიკელი ჯონ ჰინენი, რომლებიც დანბრიჯში შეხვდნენ ერთმანეთს 1863 წლის 10 დეკემბერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის საბრძოლველად და ისეთი წვრილმანისთვის, როგორიცაა 2000 გირვანქა სტერლინგი დაჟეჟილი ადგილების სამკურნალოდ (არ დაგავიწყდეთ, მაშინ მოკრივეები უხელთათმანოდ იბრძოდნენ და შეხვედრა 55 წუთს გრძელდებოდა). ჩემპიონის ტიტულიც და ფულიც ინგლისში დარჩა.

ეს ფოტოსურათი თავისთავად კურიოზულია იმით, რომ ფოტოფირზეა გადაღებული ყველაფერი, გარდა მოკრივეთა ხახეებისა. ტექნიკის მაშინდელი დაბალი განვითარების გამო სურათზე სახეები არ გამოსულა და შემდეგ დაუხატავთ.

## რეკორდები

დნეპროძერჟინსკი, 11 მარტი. წყალქვეშა სპორტის ჩქაროსნულ სახეობებში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში სამი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: ერევნელმა სტუდენტმა შ. კარაპეტიანმა 400 მეტრი წყალქვეშ 3 წუთსა და 19,4 წამში გაცურა და წინანდელი მსოფლიო მიღწევა 14,4 წამით გააუმჯობესა. 800 მეტრზე მისი შედეგია 7.01,6 (წინანდელი რეკორდი იყო 7.10,1). წლეულს თებერვალში დამყარებული თავისივე რეკორდი 0,1 წამით გააუმჯობესა ლენინგრადელმა სტუდენტმა ქალმა თ. სამოტოიმ, 200 მეტრზე ფარფლებით ცურვაში მისი ახალი რეკორდია 1.51,7. სსრ კავშირის თასი მოიპოვეს ნოვოსიბირსკის არმიელმა სპორტსმენებმა.

რედაქტორის მოადგილე

ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02506